საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 672 2024 წლის 15 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების მიზნით სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისის აღსანიშნავად დაგეგმილი ღონისძიებებისათვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის

შემუშავებისა და მართვის“ პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში (პროგრამული კოდი: 27 01 01).

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**